29/1919
29/III-19 №
№ 29
ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ლ ი

კ ლ დ ე

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

კვირა. იანვრის 19.
(იანვარის 6).
1919 წელი.

№ 10.

ფასი 50 კაპ.

ყოველ-დღიური „სალი კლდე“ გაზეთი გამოცემა

— დამოუკიდებელი —
ნაციონალ-დემოკრატიული

გამოდის **გრიგოლ ვეშაპელის** რედაქციით

გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი, ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 2 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სახახლის ქ. № 5

ტელეფონი № 18—31.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

მეთაური. ჩამორთმეულ მიწების გაყიდვა.
გაზეთი „საქართველო“ და სოციალ-დემოკრატები
L. არჩევნებისათვის.

ც ნ ო ბ ე ბ ი.

ბერლინში სპარტაკელები დამარცხდა — საომარი მოქმედება ფაქტიურად შესწყდა.
საზავო კონფერენციის პირველი სხდომა მომავალ შაბათს გაიხსნება
ამერიკაში მუშათა გაფიცვები დასრულდა
ლიუქსემბურგში რესპუბლიკა გამოცხადდა
გერცოგინია გადადგა.
სომხეთის დელეგაცია ბათუმით კონსტანტინოპოლისაკენ გაემგზავრა.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ დღიურ გაზეთ „სალი კლდე“-ზე.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 2 საათამდე.

ტელეფონი № 18—31. **კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სახახლის ქ. № 5.**

ქართველებო! ნუ დაჰკარგავთ საარჩევნო ხმას!

მიდით ქალაქის საარჩევნო ბიუროში. (შუა (სომხის) ბაზარში, № 62 თამამშევის ქარვასლა) და თუ აღწერისდროს გამოტოვებული ხართ, შეატანიეთ სიაში თქვენი თავი!

თფილისი. იანვარის 19.

ჩამორთმეული მიწების გაყიდვა.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დადგენილებით მიწის მინისტრმა, ბ. ნოე ხომერიკმა შეადგინა კანონპროექტი სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის მამულების კერძო საკუთრებად გაცემისა ფასით.

პირველი შეხედვით ეს კანონ-პროექტი თითქოს უარის თქმაა სოციალისტურ და რევოლუციურ კანონმდებლობაზე, თითქოს ცხოვრების მოთხოვნილებათათვის შეუსმენიათ და სოციალისტური ხელებით აკეთებენ არა სოციალისტურ სახელმწიფოებრივ საქმეს.

მაგრამ ნამდვილათ ეს ასე არ არის და ჩვენ იძულებული ვართ უარყოფით შევხვდეთ წარმოდგენილ კანონ-პროექტს, თუმცა მისი ზოგიერთი დებულებანი პირდაპირ გადმოწერილია ჩვენი პროგრამიდან.

ჩვენი პროგრამა მიწის საკითხის გარდაწყვეტისა იყო და არის ასეთი: უმამულო ან მცირე მამულიანთა დასაკმაყოფილებლად საქართველოს მთავრობამ უნდა გამოიყიდოს იძულებით საჭიროებისამებრ მემამულეთაგან ხაზინის ხარჯით მამულები და ამ ფონდიდან მისცეს მკვიდრ მიწის მუშებს კერძო საკუთრებად და ფასით ეს მიწა.

ეს წესი ჩვენი გამოგონილი კი არ არის, ეს საკუთრების საერთო წესია, რომლითაც სწყვეტენ ხოლმე მიწის საკითხს ყოველს ქვეყანაში, სადაც არ უნდათ, რომ ხალხი სულ არეული იყოს და სახელმწიფოც ამ არეულობას თან გადაჰყვეს.

მაგრამ ყოველი წესა მაშინ ვარგა, როცა ოვითონ ეგი თავიდან ბოლომდე წესიერად სრულდება; ასეთია საკუთრების წესიც; უკუღმა საკუთრების აღიარება და წალმა ექსპროპრიაციის განხორციელება ერთად ვერ გამოდგება...

სოციალ—დემოკრატების კანონპროექტი კი სწორედ ასეთია.

მართლაც და რა ფონდია ის საადგილ-მამულო ფონდი, ოომლიდანაც არიგებენ ფასით საკუთრებას ჩვენი სოციალისტები?

ეს ის ფონდი გახლავთ, რომელიც შესდგა როცა „ზაკავკაზიეს“ სეიმის დეკრეტის ბძრანებით ყველა მემამულეს, ვისაც შვიდ დესეტინაზე მეტი მიწა ჰქონდა, ექსპროპრიაცია უყვეს.

ჩვენი პროგრამა არ უარყოფს ნორმის დაწესებას, მაგრამ ჩვენი ნორმა გამომდინარეობს სახელმწიფოს საჭიროებიდან: თუ სახელმწიფო საქმისათვის, ვსთქვათ კოლონიზაციისათვის, საჭიროა მამულების ჩამორთმევა, ეს მთავრობას უნორმოდაც უნდა შეეძლოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში სახელმწიფოს ინტერესზე აგებული ნორმა არასოდეს არ იქნება ისეთი, რომ ის ეწინააღმდეგებოდეს და არღვევდეს სამეურნეო კულტურას, არ იყოს წინ და წინ ნაანგარიშევი სტატისტიკის მიხედვით, ადგილობრივი პირობების შეფარდებით და ხელს უწყობდეს უცხოელთა დასახლებას მკვიდრ მცხოვრებთა ხარჯზე.

ჩვენში მიწის რეფორმა რევოლუციის დროს სწორედ ასე მოხდა. მაგრამ ამაზე შემდეგ.

გაზეთი „საქართველო“ და სოციალ-დემოკრატები.

გაზეთ „საქართველოს“ მეთაურმა, როოგორც ვიცით, უარყო ამას წინად ერ.-დემ. ფრაქციის დაფასება სომხეთთან ზავისა და კვერი დაუკრა სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას, — „ომი სამხედრო, პოლიტიკური, დიპლომატიური და ზნეობრივი გამარჯვებით დასრულდაო“.

ეხლა „ერთობა“ პირისპირ უყენებს გაზეთ „საქართველოს“ იმ უარყოფით დაფასებას, რომელიც იმავე „საქართველოში“ მოათავსა ბ. ს. კედიამ და ირონიულად შენიშნავს:

„ბ-ნი კედია ცნობილია თავის გულწრფელობით და ჩვენ ნება გვაქვს მოვთხოვოთ მას, რომ უარი სთქვას პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში გამოხატულ აზრებზე და აღიაროს, რომ ის დაფასება ომისა და ზავისა, რომელიც მან პარლამენტში გააკეთა, გაუფრთხილებლობის ნაყოფიაო“.

ეხე შიგნიდან გატყდებაო, რომ იტყვიან, სწორედ გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაზე ყოფილა გამოჭრილი.

არჩევნებისათვის.

ქალაქის საბჭოს და დამფუძენებელი კრების არჩევნები მოახლოვდა. ამომრჩეველთა სიები, რომელთა მიხედვით უნდა მოხდეს მომავალი არჩევნები, უკვე სდგება. ამისთვის ქალაქის გამგეობამ მოქალაქეთ შესაფერისი მოწოდებითაც მიმართა.

ყველა ქართველისათვის ნათელი უნდა იყოს ის მნიშვნელობა, რომელიც ამ შემთხვევაში ამ ორ საარჩევნო კომპანიას ეძლევა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი დედა ქალაქის მტრების გარედან შემოტევის დროს დამარცხებისა და შიგნით სახელმწიფო ცხოვრებაში ნგრევის შეტანის აუსრულებლობის შემდეგ, შეიძლება ეს არჩევნები უკანასკნელი პოზიცია იყოს, რომელზედაც დამარცხების შემდეგ სახელმწიფოს ორგულნი იძულებულნი იქნებიან საქართველოდან გუდა-ნაბადი აიკრიფონ და ბნელი ზრახვები თავის გულშივე ჩაიხშონ.

ამიტომ საჭიროა ყოველმა ქართველმა დროებით მაინც გადალახოს ჩვენი ქართველური ინდიფერენტიზმი და მომავალ არჩევნებში აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

ამას წინად ჩვენ აღვნიშნავდით იმ სამწუხარო მოვლენას, რომ ბევრი ქართველი ოჯახები აღმწერლებს კარ-გამოკეტილი ხვდებოდა და სიებში თავის თავს არ აწერინებდა. ბევრი ქართველი სახლიდან გასული თავის ვინაობის ცნობას წერილობით არა სტოვებდა და თავის ხმას ჰკარგავდა.

დღეს ყველას საშუალება ეძლევა გაიგოს „არის თუ არა შეტანილი საარჩევნო სიაში, რისთვისაც უნდა მიმართოს ნაჩვენებ ადგილებში, სადაც იქნებიან განსაკუთრებულნი პირნი, სიების ნაკლულობის და უსრულობის შესახებ განცხადებებით და საჩივრებით. განცხადებები და საჩივრები შეიძლება როგორც წერილობით, ისე სიტყვიერათ; განცხადებებს და საჩივრებს უნდა ახლდეს საბუთის ქალალდები, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის დამამტკიცებელი (პასპორტი, მეტრიკა, ნამსახურობის სია თავისი ან მამისა). ქართველები არ არიან ვალდებულნი წარმოადგინონ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, გარდა მეტრიკისა იმ შემთხვევაში, როცა მომჩივარნი გარეგანის შეხედულობით 20 წლისაზედ ნაკლები არიან.

ყველა განცხადებებს და საჩივრებს ქალაქის გამგეობა განიხილავს 24 და 25 იანვარს. თუ ამ ორი დღის განმავლობაში მომჩივანთ არ მიუვათ ქალაქის გამგეობისაგან პასუხი საჩივარისა ან მიუვათ უარი, მათ აქვთ უფლება ორი დღის განმავლობაში, ე. ი. 26 და 27 ამა იანვარს შეიტანონ საჩივარი საოლქო სასამართლოს ადმინისტრატიულს განყოფილებაში, რომელიც ვალდებულია ორის დღის განმავლობაშივე ე. ი. 28 და 29 იანვარს განიხილოს ყველა სასამართლოში შესული საჩივრები“.

ვიმეორებთ, ყოველი ქართველის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს, თფილისის ქალაქის არჩევნებს ყურადღებით მოეპყროს და როგორც საჭიროა, ისე მოემზადოს. არც ერთმა ქართველმა მოქალაქემ თავის ხმა არ უნდა დაჰკარგოს, რითაც იგი, შეიძლება ითქვას, უკანასკნელ ბრძოლას მისცემს იმ საქართველოს ნაღდ მტრებსა და არა-მკითხე სოციალისტებს, რომელთაც ხელში უგდიათ ჩვენი დედა-ქალაქის ბედ-ილბალი. L.

საქართველოს ამბები.

არჩევნების დღე

ქალაქის საბჭოს არჩევნების დღეთ, დანიშნულია 2 თებერვალი.

ქალქის საბჭოს გადადგომა

ქალაქის საბჭოს შემადგენლობა, გარდა ფირუმოვისა, რომელიც ავად იყო, გადადგა. სათანადო ცნობა საბჭოს თავმჯდომარეს უკვე მოუვიდა.

ჯარის საჭიროებისათვის.

ჰიათურის მრეწველებმა, სახელმწიფოს, ჯარის საჭიროებისათვის 50,000 მ. შესწირეს.

მემარცხენე ს.-ფ. გაზეთი.

დღეიდან გამოდის მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთი ,,ახალი-ნაკადი“.

საქართველოს პარლამენტი და ინგლისი

საგარეო მინისტრის განცხადება

17 იანვარს საგარეო საქმეთა მინისტრმა პარლამენტში შემდეგი განაცხადა:

მე სიტყვა ავიღე მხოლოდ იმისთვის, რომ გაცნობოთ იმ დეპეშის შინაარსი, რომელიც მივიღეთ კონსტანტინეპოლიდან ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გადმოცემული: ,,თანახმად თქვენ მიერ გამოგზავნილ თხოვნისა 5179 №-ით, გაცნობებთ, რომ საქართველოს დელეგაციას მიეცემა ყოველგვარი დახმარება კონსტანტინეპოლით გამგზავრებისათვის კონფერენციაზე. საქართველოს დელეგაციის მიღება საზრუვანი საგანი გახდება საფრანგეთის მთავრობისა; რა ადგილი მიეცემა მას საერთაშორისო კონფერენციაზე, ამის შესახებ ვერაფერს გაცნობებთ, რადგან ეს საკითხი თვით კონფერენციაზე გადასწყდება. ბრიტანიის მთავრობა თანაგრძნობით ეგებება საქართველოს დამოუკიდებლობას, დაიცავს მას კონფერენციაზე და იზრუნავს, რომ საქართველოს წარმომადგენლობა მოსმენილ იქნეს (საერთო ძლიერი ტაში).

თავმჯდომარე. ბატონებო! იქნება პარლამენტმა ისურვოს და მადლობა გადაუხადოს ინგლისის მისიას.

პარლამენტი პრეზიდიუმს ანდობს მადლობის გადახდას ინგლისის მისიისათვის. ამისათვის კრება დროებით წყდება.

პარლამენტის მიმართვა ინგლისისადმი

პარლამენტის პრეზიდიუმმა შემდეგით მიმართა ინგლისის წარმომადგენელს:

„საქართველოს პარლამენტი მხურვალედ გესალმებათ თქვენ, პატივცემულო ღენერალო და სალამს უძღვნის თქვენი სახით თავისუფლების მოყვარულ ინგლისის ხალხს და მოკავშირეთა სახელმწიფოებს. ქართველ ხალხს მტკიცედა სწამდა, რომ დიდი ბრიტანეთი, ეს თავისუფლების აკვანი—შემოვა ჩვენში, როგორც ძლიერი მეგობარი, რომელიც დაიცავს. და მხარს დაუჭერს მრავალ-ტანჯულ ქართველ ხალხის სამართლიან ეროვნულ და ისტორიულ უფლებებს. ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს ამისი საბუთები. დღეს ჩვენ მიერ მიღებულია თქვენი მთავრობის ცნობა, რომ ის სიმპატიით ეპყრობა ჩვენს რესპუბლიკას და იმედს გვაძლევს, რომ მხარს დაგვიჭერს ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარების საქმეში მსოფლიო კონფერენციაზე. ჩვენ გთხოვთ თქვენ, ბატონო ღენერალო, გადასცეთ თქვენს მთავრობას, რომ ეს ცნობა საქართველოს ყოველი მოქალაქის გულში გამოიწვევს პატისცემისა და მადლობის გრძნობას დიდი ბრიტანეთისადმი. საქართველო გაიგებს, რომ მას თავისუფლებისთვის ბრძოლაში თქვენი სახით ჰყავს ძლიერი მეგობარი, რომელიც მზადაა მხარი დაუჭიროს მის მისწრაფებას, რათა ისიც შევიდეს სრულ-უფლებიან წევრად განათლებულ ერთა ოჯახში“.

ინგლისის მისიის პასუხი

ნაშუადღევის პირველ საათზე სხდომა ახლდება.

თავმჯდომარე მოახსენებს პარლამენტს ინგლისის მისიის თავმჯდომარის პასუხს პარლამენტის პრეზიდიუმის მისალმებაზე:

„ჩემს მოვალეობად და სასიამოვნო დავალებად მიმაჩნია გადავცე დიდი ბრიტანიის ჯარების მთავარ სარდალს აღმოსავლეთში, თუ როგორის გულითადობით მიმიღეთ და იმის შესახებ, რაც დღეს აქ განაცხადეთ ღრმად. ვარ დარწმუნებული, რომ თქვენი იმედი და ნდობა დიდის ბრიტანიისადმი უეჭველად გამართლდება და საქართველო მიიღებს საშუალებას დამოუკიდებელ არსებობისას. გადაეცით ჩემი მხურვალე და გულწრფელი მადლობა საქართველოს პარლამენტის წევრებს“ (საერთო ტაში).

სომხეთ-საქართველოს კონფერენცია.

დადგენილებანი საზღვრების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდლის ღენ.-მაიორი გედევანიშვილის, სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლის ღენ.-მაიორ ყურგანოვის, საქართველოს ლაშქრის პოლკოვნიკის ჯაფარიძის მიერ შემდგარ კომისიამ თანახმად სომხეთ-საქართველოს შორის მომხდარ კონფლიქტის გამოსარკვევად შემდგარ კონფერენციის თავმჯ. ინგლისის ლაშქრის პოლკ. სტიურტის საბოლოო გადაწყვეტილებისა—დაადგინა, რომ ბორჩალოს მაზრაში სადაო ზონის საზღვარი ჩრდილოეთი უნდა გახდეს იმ პუნქტების შემაერთებელ ხაზად, რომელიც ეჭირა საქართველოს ლაშქრის ნაწილებს 31 ქრისტეშობისთვეს ახ. სტ. 1918 წ. 24 საათზე, ბორჩალოს მაზრის სადავო ზონისა ჩრდილოეთის საზღვრად სოფლების საზოგადოებათა მიერ მიწის დამუშავებით გამოწვეულ ადგილის მიმართულების შეცვლამდის, ჩითვალოს: ლელლი-დაღოს მთა, პირდაპირი ხაზი უღელ-ტეხილზე ს. ირლანჩაიმდის, პირდაპირი ხაზი 798 სიმაღლემდის; შემდეგ კულულაშის სიმაღლემდის (855,5 სიმაღ. 676, სოფ. საათი, სიმაღ. 739, სოფ. ახკერპი, პირდაპირი ხაზი სოფ. ოფრეთი სიმაღ. 492, ხოჯორნის ახლოს სოფ. ბარდაზორის ეკლესიის ნანგრევები,—სოფ. სადახლო, სადგ. სადახლო, სადახლოს ჩრდილოეთით მთის წვერი 1554,—შემდეგ 2660 სიმაღლემდის. (მთა ტანა დაღი). შემდეგ წყაროს წარწერამდის, რომელიც ხაჩა-

ყალას მთაის პალუთლი-ბაში წარწერის ჩრდილოეთით არის.

სოფლები ირღახჩაი, საათი, ჯანდარი, ახკერპი, ოფრეტში, ხოჯორნი ბარდაზორი, სადახლო—რჩებიან ჩრდილოეთით ნაჩვენებ ხაზში.

ამავე კომისიის წინადადებით დაადგინეს შემდეგი გარნიზონის საქართველოს და სომხეთის ლაშქრების ნაწილებისა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში:

ა) ქართული გარნიზონი ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში:

1. სანაპირო რაზმის ერთეულები საერთო შემადგენლობით არ აღემატება 200 კაცს და უჭირავს საგუშაგოები ახალქალაქის მაზრის საზღვრიდან სოფ. ოფრეთამდე.

2. სად. აშაგა-სერალთან ბათალიონი სამი გუნდისაგან შემდგარი საერთო რიცხვით არა უმეტეს 360 ჯ.-კაცისა, მათ რიცხვშია უმწყობრო ჯ.-კაცებიც, ტყვიისმფრქვეველის მცირე გუნდი 4 ტყვიისფრქვეველით არა უმეტეს 50 კაცისა; ორი ზარბაზანი შესაფერი მოსამსახურეებით. ბათალიონს შეუძლია წარგზავნოს ზერგები სოფ. ოფრეთში და სადახლოში თითო ზერგში არა უმეტეს 60 კაცისა.

3. რაზმი მოდარაჯე ერთეულის საერთო რიცხვით არა უმეტეს 50 კაცის წყაროს წარწერიდან, რომელიც იმყოფება კლდის ხაჩაკალას წარწერის ჩრდილოეთით მდ. ხრამის მტკვრის შესართავამდის.

ბ) სომხეთის გარნიზონების ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში:

1. გუნდი არა უმეტეს 125 კაცისა, მათ რიცხვშია უმწყობროებიც, სადგ. კალაგერანისა და ს. ლიხის რაიონში.

2. ჯალალ-ოღლის, გერგერის, და ნიკოლაევკას რაიონში. ბათალიონი სამი გუნდის შემადგენლობით საერთო რიცხვით არა უმეტეს 360 კაცისა მათ რიცხვშია უმწყობრონიც. ტყვია-მფრქვეველი მცირე გუნდი 4 ტყვია-მფრქვეველით და არა უმეტეს 50 კაცისა ორი ზარბაზანი შესაფერ მოსამსახურე პირებით.

3. გუნდი არა უმეტეს 125 ჯარისკაცისა მათ რიცხვში უმწყობრონიც საუფლისწულო ქონების და ნოვოპოკროვკის რაიონში.

გ. საერთოდ საქართველოს გარნიზონმა ჩრდილოეთ ნაწილში და სომხეთისამ სამხრეთ ნაწილში არ უნდა გადაამეტოს 660 ყოველ ნაწილში ზარბაზნის მოსამსახურე პირების საჭირო შემადგენლობით.

დ. ორივე მხარეს უფლება აქვთ ძვეითა ნაწილები შესაფერი რიცხვის ცხენოსანი ჯარიეკაცები შესცვალონ.

დადგენილებანი სამხელრო ტყვეების შესახებ.

საქართველო-სომხეთის კონფერენციაზე სამხედრო ტყვეების გაცვლის მოსახდენად შემდეგი ხელ-შეკრებულობა დაიდვა:

1. სამხედრო ტყვეების გასაცვლელ პუნქტად ინიშნება რკინის გზის სადგური „კარაკლისი“.

2. გაცვლის დღეთ ინიშნება 20 იანვარი ახალი სტილით. ამ დღეს ორივე მხარემ აღნიშნულ ადგილას უნდა მოიყვანოს ყველა სამხედრო ტყვეები: აფიცრები. მოხელენი, ჯქიმები და ჯარისკაცები, სადაც გაცვლა მოხდება.

3. სამხედრო ტყვეთა ეშელონებს თან უნდა ახლდნენ ორივე მხრიდან სამხედრო სამინისტრთა წარმომადგენლები ტყვეების სწორე სიით ორ ეკზემპლიარად, რომელთაგან ერთი მოწინააღმდეგე მხრიდან მიმღებს გადაეცემა.

4. ჯარში გასაწვევი პირები, ან უშუალო მონაწილეობის მიმღებნი სამხედრო მოქმედებაში, ან ეროვნულ თვალსაზრისით შეპყრობილი პირები უნდა განთავისუფლებულ იქმნენ დაუყონებლივ და უსასყიდლოდ უნდა გამოგზავნონ რკინის გზით იმ პუნქტებში, სადაც შეპყრობილ იქმნენ.

5. ის პირები, რომელნიც რესპუბლიკის სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდნენ კონფლიქტის დაწყებისას და იმყოფებოდნენ მოწინააღმდეგე მხრის ტერიტორიაზე დაუყონებლივ განთავისუფლებულ უნდა იქმნენ.

6. ის პირები, რომელნიც სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო ორგანიზაციებში მსახურობდიენ და შეიარაღებულ კონფლიქტის დაწყებისაც მოჰყვნენ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში დაუყონებლივ უნდა განთავისუფლდნენ,

7. ზემოხსენებულ დადგენილების მე-4, 5, 5. მუხლების ცხოვრებაში გატარების თავლყურის დევნა იკისრეს ამიერ-კავკასიაში მყოფ მოკავშირეთ უმაღლეს სარდლობის წარმომადგენლებმა

ხელს აწერენ:

საქართველოს რესპუბლიკის რწმუნებულის წარმომადგენლები, საქართველოს ჯარის მთავარსარდალი გენერალი გედევანიშვილი

საქ. ჩახმ. სამინისტროს მონდობილობით შტ.-ოფ. პოლკ. ი. ჯაფარიძე.

სომხეთის რესპუბლიკის რწმუნებულების წარმომადგენელი გენ.-მაიორი ყორლანოვი.

საქართველოს დელეგაცია ბათუმში

11 იანვარს ბათუმის ქართული ეროვნულ საბჭოს და სამაჰმადიანო საქარ. განმათავისუფლებელმა კომიტეტმა ადგილობრივ საკრებულო დარბაზში ვახშამი გაუმართა ინგლისის წარმომადგენელთ და პარიზში მიმავალ საქართველოს დელეგაციას. სიტყვები წარმოსთვეს: დელეგაციის თავმჯდომარემ ნ. ჩხეიძემ. ნ. ნიკოლაძემ, მამედ-ბეგ აბაშიძემ, ზია-ბეგ აბაშიძემ, ქალაქის თავმა რ. ჯავახიშვილმა, გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ რედაქტორმა თასიმ-ბეგ ხიმშიაშვილმა, პოლკ. გედევანიშვილმა, გენ. ერისთავმა და ექიმმა ლამბაშიძემ. ინგლისელებიდან პოლკ. ლევესინმა და აგრეთვე ბელევმა. ორთავემ ის აზრი გამოსთქვეს, რომ საზავო კონფერენციაზე მიმავალ საქართველოს დელეგაციას ყოველ თავის კანონიერ ეროვნულ მოთხოვნილებაში ბრიტანიის დელეგაცია მხარს დაუჭერსო.

უცხოეთის ამბები

ტელეგრამები.

საქართველოს სააგენტოსი.

სპარტაკელების აჯანყების დასრულება.

მოსული დეპეშა იუწყება, რომ სპარტაკელების აჯანყება დასრულდა დამარცხებით და სამხედრო მოქმედება ფაქტიურად 12 იანვარს გათავდა, მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში არეული სროლა იყო. უმთავრესად ის, ხალაც რედაქციებია მოთავსებული.

გაფიცვების დასრულება ამერიკაში.

ბუენოს აირესში მდგომარეობა ნორმალურია. 800 აგიტატორი და მოთავე დაპატიმრებულია. 80 პროცენტი დაჭერილებისა რუსეთია.

ბრატიანუ საზავო კონფერენციაზე.

რუმინიის წარმომადგენელი საზავო კონფერენციაზე მინისტრ-პრეზინდენტი და რუმინიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრატიანუ ხუთშაბათს პარიზში ჩავიდა. ბრატიანუ ბუქარესტიდან გამოემგზავრა შაბათს სხვათა შორის, მას თან ახლავს ძმისწული კონსტანტინ ბრატიანუ-რუმინიის დელეგაციის უფროსი მდივანი და კანცელიარიის უფროსი პოლკოვნიკი დემეტრაშკო. პარიზის სადგურზე რუმინიის ელჩის და დიპლომატიური კოპუსის გარდა ბრატიანუს მრავალი ხალხი შეეგება.

შეთქმულება ვარშავაში.

გენერალ იანუშაიტის და თავად საპეგას შეთქმულება აღმოაჩინეს. იანუშაიტი და საპეგა დაუპატიმრეს. ვარშავაში პადერევსკის და პილსუდსკის თათბირი ქონდათ ახალ სამინისტროს შედგენის შესახებ. პადერევსკის გავლენა იზრდება.

საფრანგეთის მოთხოვნილება

გაზეთები „ეკო დე პარი“ და „ტანი“, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ათავსებენ საფრანგეთის საზღვრების შესახებ ანალოგიურ წერილებს, ალბათ, საერთო წყაროდან. ამ წერილებში ისინი აცხადებენ: 1815 წელს საფრანგეთი იძულებული იყო დაეტოვებია ფილიპვილი და მარიენბურგი, რომელნიც უაზაში შესავალს იცავენ და გასულიყვენ აგრეთვე ლიუქსემბურგიდან და სან-ლუიდან (?), რომელნიც იცავენ საზღვარისაგან ახლო მდგარ პარიზს. 1819 საზღვარი დამარცხებულთა საზღვარი იყო. ამ ჟამათ აუცილებელია მისი შესწორება.

ამბოხების ლიკვიდაცია ბერლინში.

სახალხო კომისარმა ნოსკემ მანიფესტით მიმართა ბერლინის მცხოვრებთ: „მანიფესტი აღნიშნავს, რომ ჯარი კონტრრევოლიუციის იარაღი კი არაა-მისი მოვალეობაა გაანთავისუფლოს ხალხი წარმოუდგენელ ტერორისგან. მან უნდა უზრუნველყოს პიროვნების და პრესის თავისუფლება დაიცვან ქონება და საფრთხე ააცილოს ეროვნულ ყრილობას. მანიფესტით აკრძალულია ქუჩებზე თავის მოყრა.

ბერლინის სხვა და სხვა ადგილებში იარაღის ასაყრელათ 15 იანვრის დილიდან მიღეს ზომები. სამშაბათს. იარაღის ძებნის დროს აღმოაჩინეს და კონფისკაცია ყვეს 15 ათასს თოფს ტყვიის მფრქვეველს და მრავალ სხვა იარაღს და სამხედრო ქონებას.

მოკავშირეთა ბლოკიდის შედეგი

მას შემდეგ რაც წინასწარ გამოკვლევიდან ჟერძო მოხსენებიდან გამოირკვა თუ რა გავლენა ქონდა მტრის ბლოკადას გერმანიაში

სიკვდილის რიცევი ზრდაზე, აქიმთა ეროვნული სამართველო ამზადებს ფართო მოხსენებას ომის დროს გერმანიის მოქალაქეთა სიკვდილზე. საბუთებიდან სჩანს, რომ ომის პირველ წელში სიკვდილის რიცხვი ზომიერი იყო, მხოლოდ 1916 წლიდან რიცხვი საშინლათ გაიზარდა. ამ ხნის განმავლობაში შიმშილმა შიმსხვერპლა რამოდენიმე ასი—ათასი მოქალაქე, სწორი რიცხვი ჯერ არ არის გამოანგარიშებული.

სახელმწიფო ყრილობის არჩევნები ბავარიაშია.

ბავარიის სახელმწიფო ყრილობის არჩევნებმა 58 ადგილი მისცა ბავარიის სახალხო პარტიას (ცენტ.), 51 მეუმრავლესე სოციალ-დემოკრატს, 22 გერმანულ სახალხო პარტიას, 17 ბავარიის გლეხთა კავშირს, 5 ეროვნულ ლიბერალებს და ბავარიის საშვალო პარტიას და ადგილი დაეკუკიდებელ სოციალ-დემოკრატებს.

ლიუქსემბურგის რესპუბლიკა.

ლიუქსემბურგში რესპუბლიკა გამოცხადდა, გერცოგინია ადელაიდამ 14 იანვარს დასტოვა ქალაქი.

თფილისის ქალაქის არჩევნებისათვის.

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომელნიც სცხოვრობენ თფილისში, ან აქვთ აქ შინაური მოწყობილება, ან დაკავშირებულნი არიან ქალაქთან რაიმე განსაზღვრული საქმით, რომ თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამომრჩეველთა სიები უკვე შედგენილია და საყოველთაოდ განსახილველად წარდგენილი იქნებიან მიმდინარე იანვრის 19, 20, 21, 22 და 23 დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე შემდეგს ადგილებში:

1	საარ.	უბ.	ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებელი, ოლოლას ქუჩა 52 სახ. მაჩაბლისა.
22	„	„	პირველი ვაჟთა გემნაზია, გოლოვინის პრ.
33	„	„	მესამე ვაჟთა გემნაზია, ლერმონტოვის ქუჩა
44	„	„	შანთაშვილის ქარვასლა, სომხის ბაზარი № 62
5	„	„	პუშკინის ქალაქის სასწავლებელი, ვარანცოვის ქუჩა
6	„	„	ნადეჟდის თავშესაფარი
7	„	„	ავლაბრის კლუბი, ზამთრის შენობა ავლაბრის კლუბ.
8	„	„	პირველი საკომერციო სასწავლებელი.
9	„	„	ქალაქის სასწავლებელი პეტრე დიდის სახელითა, ჩერქეზიშვილის ქუჩა 29
10	„	„	სახალხო სახლი ზუბალაშვილებისა
11	„	„	ნაძალადევის თეატრი, ჩერქეზიშვილის ქუჩა
12	„	„	რკინის გზის სასწავლებელი
13	„	„	„ საბურთალოს კომისარიატი

მოქალაქენო, რომელნიც მოისურვებენ გაიგონ არიან თუ არა შეტანილი საარჩევნო სიაში უნდა მიმართონ ნაჩვენებ ადგილებში, სადაც იქნებიან განსაკუთრებულნი პირნი სიების ნაკლულობის და უსრულობის შესახებ განცხადებებით და საჩივრებით. განცხადებები და საჩივრები შეიძლება როგორც წერილობით ისე სიტყვიერათ; განცხადებებს და საჩივრებს უნდა ახლდეთ საბუთის ქაღალდები საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის დამამტკიცებელი (პასპორტი, მეტრიკა, ნამსახურობის სია თავისი ან მამისა) ქართველები არ არიან ვალდებულნი წარმოადგინონ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, გარდა მეტრიკისა იმ შემთხვევაში როცა მომჩივარნი გარეგანის შეხედულობით 20 წლისაზედ ნაკლებნი არიან.

ყველა განცხადებებს და საჩივრებს ქალაქის გამგეობა განიხილავს 24 და 25 იანვარს. თუ ამ ორი დღის განმავლობაში მომჩივანთ არ მიუვათ ქალაქის გამგეობისაგან პასუხი საჩივარისა ან მიუვათ უარი, მათ აქვთ უფლება ორი დღის განმავლობაში, ე. ი. 26 და 27 ამა იანვარს შეიტანონ საჩივარი საოლქო სასამართლოს ადმინისტრატიულს განყოფილებაში, რომელიც ვალდებულია ორის დღის განმავლობაშივე ე. ი. 28 და 29 იანვარს განიხილოს ყველა სასამართლოში შესული საჩივრები.

რესპუბლიკის მოქალაქენო, იცოდეთ, რომ ვინც სიაში არ იქნება შეტანილი მას ხმის უფლება არა აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ეშურეთ, ისარგებლოთ კანონიერი ვადით და განაცხადეთ სარაიონო ბიუროებში გამოტოვების და სიების ნაკლულევანების შესახებ, რომ შეტანილი იქმნენ სიებში და არ დაკარგოთ ხმა.

მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ო, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები უნდა მოხდეს 14—16 თებერვალს. დამფუძნებელ კრების არჩევნები თფილისში მოხდება ამომრჩეველთა იმავე სიებით, რომლებითაც უნდა მოხდეს ქალაქის ხმოსნების არჩევნები. ახალი საარჩევნო სიები დამფუძნებელ კრებისათვის არ შესდგება. საქალაქო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა სიები სდგება და ამ სიებით უნდა მოხდეს ორი ფრიად მნიშვნელოვანი არჩევნები: ქალაქის საბჭოსი და დამფუძნებელი კრებისა. ვინც სიებში არ იქნება შეტანილი მას არ აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა არც ერთს ამ არჩევნებში.

მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ო, შეასრულეთ თქვენი მოვალეობა და ვინც გამოტოვებულია სიებში, ეშურეთ შეიტანოთ განცხადება სარაიონო ბიუროში, რომ დამატებით ჩაგწერონ და ხმა არ დაკარგოთ.

„კლდის“ ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა ნაწერები:

გრიგოლ ვეშაპელის

„ნაც.-დემოკრატიული პარტია“

დავით ვაჩნაძის

„მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია“

მიხეილ მაჩაბელის

„მიწის საკითხი“

შალვა ქარუმიძის

სამღვთო სჯულის სწავლეგის გაუქმება.

თითო წიგნის ფასი 15 შაური.

განცხადება.

ვაცხადებ ყველას საყურადღებოდ, რომ 14 ამ იანვარს მე დავაარსე კომისია ქალაქ თფილისის მილიციის საქმეების სარევიზიოდ და მილიციის მოხელეთა ბოროტ-მოქმედების გამოსაძიებლად. კომისიაში შედიან თფილისის სასამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოს ბრალმდებელნი, მათი ამხანაგები, მთავრობის იურისკონსულტი, საქართველოს პარლამენტის წევრნი და სხვები.

ბოროტების ძირშივე აღმოსაფხვნელად და დამნაშავეთა დასასჯელად მოვუწოდებ ყველას, ვინც დაზარალებულა მილიციის მოხელეთა უკანონო მოქმედებით, ან ვისაც რაიმე ცნობები აქვს იმათ მიერ ჩადენილ ბოროტების შესახებ, გაუცხადონ ამის შესახებ ზემოთ აღნიშნულ კომისიას.

მთავრობის თავმჯდომარე — **ნ. ჟორდანია.**

14 იანვარი, 1919 წ.
ქ. თფილისი.

საქართველოს მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა კავშირის საგზე.

ამითაცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღებ და კავშირში წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიათინსკის დაღმართი № ა. სამეურნეო საზოგადოების შენობაში. მუდამ დღე 11—1 საათამდე, კვირა უქმის გარდა.

ე ქ. დ. ჯავახიშვილი

ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა № 41.

ტელეფ. № 14—09.

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ.